

სოციალური ქსელების ზეგავლენა ქუჩასთან დაკავშირებული  
ახალგაზრდების  
რისკის შემცველ ქცევებზე

თინათინ ფარეიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი, MSW, PhD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

*როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს  
ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე  
გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს,  
რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების  
შესაბამისად.*

თინათინ ფარეიშვილი

26.01.2020 წ.

## აბსტრაქტი

ბავშვები და ახალგაზრდები უმეტეს შემთხვევაში მსოფლიოს როგორც განვითარებად, ისე განუვითარებელ ნაწილში ქუჩაში ცხოვრობენ და/ან მუშაობენ. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს ისეთი სოციალური მომსახურებები, რომლითაც სახელმწიფო ზრუნავს აღნიშნული კატეგორიის ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. სხვადასხვა ქვეყნებში ბავშვებისა და ახალგაზრდების ქუჩაში მოხვედრის მიზეზი ძირითადად ეკონომიკურია. რაც შეეხება საქართველოს, ახალგაზრდების ქუჩაში მოხვედრის მიზეზი ჩვენს ქვეყანაში მოიცავს ეკონომიკურთან ერთად კულტურულ ფაქტორებსაც.

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება საქართველოში მცხოვრები ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდების რისკის შემცველ ქცევებზე სოციალური ქსელის ზეგავლენის გარკვევას, რაც ეფუძნება ახლახანს ჩატარებული კვლევის ანალიზს.

კვლევის ანალიზის შედეგად დადგინდა რომ ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდების რისკის შემცველ ქცევებზე გავლენას ახდენს სოციალური ქსელები, კერძოდ, ალკოჰოლის მოხმარება, ნარკოტიკების მოხმარება, საფრთხის შემცველი სექსუალური ურთიერთობა.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც შემუშავებულია კვლევის შედეგებიდან გამომდინარე. წინამდებარე კვლევა არის სოციალური მომსახურებებისა და ინტერვენციების მეცნიერული განვითარების კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებული ფართო მასშტაბიანი კვლევის ნაწილი.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ქუჩასთან დაკავშირებული ახალგაზრდები, რისკის შემცველი ქცევები, სოციალური ქსელი.

## Abstract

Children and youth live and work on the street in most of the developing and undeveloped parts of the world in most cases. In some countries, there are social services that the state cares about improving the situation of youth in this category. In different countries the reason why children and youth are on the street coming is mainly economic. As for Georgia, the reason for youth to get on the streets includes cultural factors along with economic factors. This paper deals with the impact of social networking on the risk-taking behaviors of street youth in Georgia, based on a recent research analysis.

The analysis of the study found that social networking behaviors are influenced by the risk behaviors of street-related youth, namely, alcohol consumption, drug use and risky sexual intercourse.

The final section of the paper presents recommendations developed based on the research findings. The present study is a part of a large-scale study conducted by the Research Center for Social Services and Interventions Research.

**Key words:** street connected youth, risk-taking behaviors, social network